# 18 წლამდე ასაკის ბავშვებში დიაბეტის მართვა და დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობის შეფასება საქართველოში

ანა ხვიჩია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა, ხვიჩია, 03.07.2022 წელი“



# აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება 18 წლამდე ასაკის ბავშვებში დიაბეტის მართვას და დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობის შეფასებას. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული 2018 წლის ცნობარის მიხედვით, საქართველოში 2018 წელს ყოველ 100 000 15 წლამდე ასაკის ბავშვზე დიაბეტის 236 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. დაავადება სწრაფი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საქართველოში შაქრიანი დიაბეტი თავისი გართულებებით წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემას. სწორედ ამ პრობლემის შესამსუბუქებლად და მასთან ბრძოლის მიზნით ქვეყანაში დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება.

სამაგისტრო თემის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანიც იყო პირველ რიგში, სახელმწიფოს მიერ შემუშავებული დიაბეტის მართვის პროგრამის ხელმისაწვდომობის და ეფექტურობის დადგენა და იმ ძირითადი პრობლემების გამოვლენა, რომლებსაც ბავშვები და მათი მშობლები დაავადებასთან ბრძოლის დროს აწყდებიან. ასევე, კვლევას უნდა განესაზღვრა საზოგადოების ინფორმირებულობის დონე.

ნაშრომში მოძიებული ლიტერატურის საფუძველზე, განხილულია დიაბეტის გავრცელების ტენდენციები როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლები, დადგინდა დიაბეტის მართვის პროგრამის ხარვეზები და გამოიკვეთა სკოლებსა და ბაღებთან დაკავშირებული პრობლემებიც.



**ძირითადი საძიებო სიტყვები: დიაბეტი, 18 წლამდე ასაკის ბავშვებში, დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამა, დიაბეტი და სკოლა.**

## Abstract

The master's thesis examines the management of diabetes in children under 18 and the effectiveness of the state-developed diabetes management program. According to the study dated 2018, published by the National Center for Disease Control and Public Health, in Georgia in 2018, there were 236 newly diagnosed cases of diabetes for every 100,000 children under the age of 15. The disease is characterized by a tendency of rapid increase. Diabetes, along with its complications, is a major social and economic issue in Georgia. In order to alleviate this problem and fight with it, the state-developed diabetes management program is being implemented in the country.

Within the scope of the master's thesis, a study was conducted to determine, first and foremost, the availability and effectiveness of the state-developed diabetes management program, to identify the primary problems children and their parents face during the against the disease, and to assess the level of public awareness.

On the basis of the literature review the trends in the prevalence of diabetes in Georgia and in other countries around the world are discussed. As part of the research, the parents of children under the age of 18 with diabetes were interviewed, and the gaps in the diabetes management program were identified, as well as the problems related to schools and kindergartens were found.

**Key Words: diabetes in children under 18, state-developed diabetes management program, diabetes and school**